ღვარცოფული მოვლენები მდინარე ჭანჭახის აუზში

ლადო ფოფხაძე

ელ-ფოსტა: lado.popkhadze499@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
/ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

ნაშრომი ეხება მდინარე ჭანჭახისა და მისი შენაკადების ხეობებში არსებული ღვარცოფული სტიქიური მოვლენების მიმოხილვას და სამოდელო ღვარცოფულ მდინარეზე სტიქიური საფრთხის სიმულაციას. ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა პერიოდის დაკვირვების მასალები, ორთოფოტოგეგმები, რელიეფის ციფრული მოდელები, ტოპოგრაფიული რუკები და დისტანციური ზონდირების მასალები. სტიქიური საფრთხის სიმულაციისთვის გამოყენებულია პროგრამული უზრუნველყოფები: RAMMS, ARC GIS PRO.